

შპს მონტ (საქართველო, თბილისი)

2020 წლის

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები

1. კომპანიის ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება მონტ (საქართველო, თბილისი) (შემდგომში: „კომპანია“) შექმნილია ქართული კანონმდებლობის შესაბამისად და დარეგისტრირებულია „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტო“-ს მიერ 2006 წლის 17 აპრილს, საიდენტიფიკაციო ნომრით 205144075.

კომპანიის რეგისტრაციისა და ფაქტიურ მისამართ წარმოადგენს: საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, ცაბაძის ქ., კორპ. N 4, სართული 2

კომპანიის 100%-ის წილის მფლობელი არის რუსეთის ფედერაციაში დაფუძნებული და დარეგისტრირებული სააქციო საზოგადოება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ვინ", 1027739856253, 001.151.348

შპს მონტ(საქართველო,თბილისი) არის ავტორიზირებული დისტრიბუტორი პროგრამული პროდუქტების ისეთი წამყვანი მწარმოებლების, როგორიცაა: Microsoft, Symantec, Trend Micro, Adobe Systems, Corel, ESET, IBM, Kaspersky Laboratory, VERITAS, Quest, Red Hat და მრავალი სხვა.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ლიცენზირებული კომპიუტერული პროგრამების დისტრიბუცია და დანეგვის ხელშეწყობის მომსახურება.

კომპანიის დასაქმებულთა საშუალო რიცხოვნობა 2020 წლისათვის შეადგენდა 11 თანამშრომელს (2019: 13 თანამშრომელს).

2. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1 წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოხდა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასს) მიერ დადგენილი და გამოქვეყნებული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

2.2 ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, შესადარისი ინფორმაციის წარმოდგენით.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა სურვილი აქვთ, განაგრძონ მისი საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისთვის.

ქვეყანაში COVID-19-ის პანდემიით გამოწვეული რეცესიის პირობებში კომპანიის ეკონომიკური აქტივობის მნიშვნელოვან შემცირებას, ფინანსური ნაკადების შემოღინების არსებით კლებას, სუბიექტთან დაკავშირებული ძირითადი რისკებისა და განუსაზღვრელობების მამტაბურ ზრდას ადგილი არ ქონია.

2.4 საზოგადოების საანგარიშო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 01 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2.5 შეფასების ვალუტა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში („ლარი“).

2.6 ფუნქციონირებადი ვალუტა

თავის ოპერაციებში საზოგადოება ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. კონვერტირებადი ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციის განხორციელების დღისათვის. ამასთანავე საანგარიშო წლის ბოლო თარიღით ხდება მათი გადაფასება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. კონვერტაციის შედეგად წარმოშობილი კურსთა შორის სხვაობა აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე.

1. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები

3.1. უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში გადაიყვანება საანგარიშგებო ვალუტაში (ლარი) ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული კურსით.

	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8677	3.2095
კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3.2766	4.0233

არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლოს კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით.

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.2. შემოსავლის აღიარება

შემოსავლების ასახვა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანიაში ეკონომიკური სარგებლის შემოძინების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სანდო შეფასება შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით, გადასახადებისა და მოსაკრებლების გამოკლებით. შემოსავლების აღიარებამდე დაკმაყოფილებული უნდა

იქნეს აღიარების სპეციალური კრიტერიუმები.

1. მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიკაცია
2. შესასრულებელი ვალდებულებების იდენტიფიკაცია
3. გარიგების ფასის განსაზღვრა
4. გარიგების ფასის განაწილება შესასრულებელ ვალდებულებაზე
5. შემოსავლის აღიარება, როდესაც ნაკისრი ვალდებულება შესრულდება.

შემოსავლების აღიარება ხდება იმ დროს ან დროის განმავლობაში, როდესაც (ან როგორც) კომპანია დააკმაყოფილებს შესასრულებელ ვალდებულებას დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემით.

3.3. ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. გაწეული ხარჯებისა და შემოსავლებს შორის უშუალო შეპირისპირების საფუძველზე, შემოსავლების კონკრეტული მუხლების მიხედვით. თუკი ეკონომიკური სარგებლის წარმოშობა მოსალოდნელია რამდენიმე საანგარიშო პერიოდის მანძილზე და კავშირი შემოსავალთან შეიძლება მოიძებნოს მთლიანად ან ნაწილობრივ, მაშინ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხარჯის აღიარება ხდება რაციონალური გადანაწილების მეთოდით.

3.4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას. მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელშიც წარმოიშვა.

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნეტო საბალანსო ღირებულებით, რომელიც გამოიანგარიშება მისი თავდაპირველი ღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის გამოკლებით.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში შემცირებადი ნაშთის მეთოდით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. ძირითადი საშუალებების ჯგუფებისთვის განსაზღვრული შესაბამისი სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები	20 %
ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი	20 %
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	იჯარის ვადისა და აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადას შორის უმცირესი
არამატერიალური აქტივები	15%

3.5. არამატერიალური აქტივები

კომპანიის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა, წარმოდგენილია თვითღირებულებით, რომელსაც გამოკლებული აქვს დაგროვილი ამორტიზაცია. ამორტიზაციის ხარჯის აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. არამატერიალური აქტივის ამორტიზირება ხდება ნარჩენი ღირებულების შემცირების მეთოდით.

3.6. ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

განუსაზღვრელი სასიცოცხლო მომსახურების ვადის მქონე აქტივებს ცვეთა არ ერიცხება და ხდება მათი ყოველწლიური ტესტირება გაუფასურებაზე. აქტივები, რომლებიც ცვეთას ექვემდებარებიან, გაუფასურებაზე ტესტს გადიან მაშინ, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ მათი საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი მომენტალურად აისახება, როგორც ხარჯი იმ შემთხვევაში, როცა აქტივის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას.

ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება, როგორც უდიდესი აქტივის გამოყენების ღირებულებასა და მის სარეალიზაციო ღირებულებას შორის. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული შეფასებულია საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებად, მაშინ საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის ხარჯად აღიარება ხდება დაუყოვნებლივ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აქტივი არის წარმოდგენილი გადაფასებული ღირებულებით და გაუფასურების ზარალი პირდაპირ ამცირებს გაუფასურების რეზერვს.

როცა გაუფასურების ზარალის ანუღირება ხდება, მაშინ აქტივის საბალანსო ღირებულება იზრდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აჭარბებდეს საბალანსო ღირებულებას, რომელიც განსაზღვრული იქნებოდა წინა პერიოდის გაუფასურების არარსებობის შემთხვევაში. გაუფასურების ანუღირება დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავალში, თუ ეს აქტივი არ აღირიცხება გადაფასებული ღირებულებით, რა შემთხვევაშიც ნებისმიერი გაუფასურების ზარალის ანუღირება განისაზღვრება როგორც გადაფასების ზრდა.

3.7 იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

3.8. სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები არის აქტივები რომლებიც განკუთვნილია მომხმარებელზე გასაყიდად, წარმოების პროცესში გამოსაყენებლად ან მომხმარებლისთვის მომსახურების გასაწევად. სასაქონლო მატერიალური მარაგები ასევე მოიცავს სათადარიგო ნაწილებს, სარეზერვო ტექნიკასა და მომსახურების გასაწევ ტექნიკას თუ ისინი არ შეესაბამებიან ძირითადი საშუალებების განმარტებას.

სასაქონლო მატერიალური მარაგები წარმოდგენილია საბალანსო ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება FIFO მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ადგილზე მიტანასთან, გადამუშავებასთან და მის იმ მდგომარეობამდე მიყვანასთან როგორშიც ის იმყოფება.

3.9 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება და ჩამოწერა

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე. ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება რეალური ღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით, რაც დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე. რეალური ღირებულება წარმოადგენს ფასს, რომელიც მიიღებოდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდებოდა ვალდებულების გადასაცემად ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღით გარიგებისას. რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა აქტიური ბაზარი. აქტიური ბაზარი გახლავთ ბაზარი, სადაც აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებული ოპერაციები საკმარისად ხშირად და ინტენსიურად ხორციელდება იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნეს მიმდინარე ინფორმაცია ფასის შესახებ.

ფინანსური აქტივები – ჩამოწერა.

ფინანსური აქტივები მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოიწერება, როდესაც კომპანია ამოწურავს თანხის ამოღების ყველა პრაქტიკულ შესაძლებლობას და დაასკვნის, რომ აღარ არსებობს თანხის ამოღების გონივრული მოლოდინი. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტას. კომპანიამ შეიძლება ჩამოწეროს ფინანსური აქტივები, რომელთა მიმართ აღსრულების ღონისძიებები ჯერ კიდევ ხორციელდება, როდესაც კომპანია ცდილობს იმ თანხების ამოღებას, რომელთა გადახდის სახელშეკრულებო უფლება არსებობს, თუმცა, არ არსებობს ამოღების გონივრული მოლოდინი.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგადაფარვა.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და სახელშეკრულებო აქტივები

სავაჭრო მოთხოვნები არის მომხმარებლებისაგან მისაღები თანხები წარმოშობილი მომსახურების გაწევის და პროდუქციის მიყიდვის შედეგად. თუ სავაჭრო მოთხოვნის დაბრუნება მოსალოდნელია ერთ საანგარიშგებო პერიოდში ან უფრო ნაკლებში, ის კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი აქტივი, წინააღმდეგ შემთხვევაში წარდება გრძელვადიან აქტივებში.

კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ანგარიშგების დროს. კომპანია აფასებს სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებას კოლექტიურ საფუძველზე რადგანაც ფლობენ საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლებს დაჯგუფებულები არიან გადაცილებული ვადის მიხედვით.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებსა და ფინანსური იჯარის ვალდებულებებს.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წელამდე

პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წლამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

3.10. ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე

ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე მოიცავს ნაღდ ფულს სალაროში, ფულს საბანკო ანგარიშებზე და ფულს გზაში.

3.11. კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. ცვლილება კომპანიის წესდებაში (მოიცავს ცვლილებას საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და ა.შ) ხდება მხოლოდ კომპანიის დამფუძნებლების გადაწყვეტილების შემდგომ. ავტორიზირებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უშუალოდ დამფუძნებლების კონტრიბუცია იყო კომპანიაში. აკუმულირებული მოგება მოიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების მოგებას და ზარალს. დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდისთვის, რომელშიც გამოცხადდა.

3.12. მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახდის წარდგენას. ახალი კანონის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები დაიბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან

(ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა). ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იხეგრება 15/85 პროპორციით. აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში, ფინანსური და საგადასახადო ბასის საფუძველზე, შესაბამისად არ არსებობს გადავადებული მოგების გადასახადის არც აქტივი და არც ვალდებულება. შესაბამისად, გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულება აღარ წარმოიქმნება 2017 წლის 1-ლი იანვრის შემდგომ პერიოდში და არაა წარმოდგენილი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში.

3.13. დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

ხელფასი, სარგო, ანაზღაურებადი შვებულება და ბიულეტენი, ბონუსები და არაფულადი სარგებელი დაირიცხება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ. კომპანიას არ გააჩნია იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობა, რომ განახორციელოს საპენსიო ან მსგავსი სარგებლის გადახდები.

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევნ შესაბამის მომსახურებას, მოიცავს:

- (ა) ხელფასებს, ანაზღაურებებსა და პრემიებს;
- (ბ) წლიურ ფასიან შვებულებებს და ბიულეტენის ანაზღაურებებს;
- (გ) არაფულად გასამრჯელოებს.

თუ დაქირავებულმა პირმა რომელიმე სადრიცხვო პერიოდში საწარმოს გაუწია მომსახურება, დაქირავებული პირის მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული ოდენობა, რომელიც გადასახდელია ამ მომსახურებისთვის, საწარმომ უნდა აღიაროს:

- (ა) როგორც ვალდებულება (დარიცხული ხარჯი) ნებისმიერი, უკვე გადახდილი თანხის გამოკლების შემდეგ. თუ უკვე გადახდილი თანხა აღემატება გასამრჯელოს არადისკონტირებულ ღირებულებას, ნამეტი თანხა უნდა აღიარდეს აქტივად (წინასწარ გაწეულ ხარჯად) იმ ოდენობით, რა ოდენობითაც წინასწარგადახდა უზრუნველყოფს მომავალში გადასახდელების შემცირებას ან ფულადი სახსრების უკან დაბრუნებას.
- (ბ) როგორც ხარჯი, თუკი მისი ოდენობა არ არის ჩართული აქტივის თვითღირებულებაში.

ბონუსები

ბონუსების გადახდების სავარაუდო ღირებულება აღიარებულია, მხოლოდ მაშინ როდესაც კომპანიას აქვს ამჟამინდელი იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება გადაიხადოს ასეთი გადახდები წარსული მოვლენების შედეგად და შეიძლება შესრულდეს ვალდებულების საიმედო შეფასება.

ამჟამინდელი ვალდებულება არსებობს მხოლოდ მაშინ, როდესაც სუბიექტს არ აქვს რეალისტური ალტერნატივა, გარდა გადახდისა.

4. ძირითადი საშუალებები

ქართული ლარი	ავიჯი და სხვა საოფისე აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	ჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
<i>თვითღირებულება</i>				
2019 წლის 1 იანვარი	151609	12,285		163,894
შემოსვლა	3299	-		3299
გასვლა	0	0		
შიდა მოძრაობა	0	0		
2019 წლის 31 დეკემბერი	184604	12,285		196,889
შემოსვლა	51	0		51
გასვლა	2474	0		2474
შიდა მოძრაობა	0	0		
2020 წლის 31 დეკემბერი	182181	12,285		194466
<i>დაგროვილი ცვეთა</i>				
2019 წლის 1 იანვარი	(118,742)	(9,709)		(128,451)
წლის ცვეთა	(9,391)	(515)		(9,906)
2019 წლის 31 დეკემბერი	(128,133)	(10,224)		(138357)
წლის ცვეთა	(8966)	(412)		(9378)
2020 წლის 31 დეკემბერი	(137099)	(10 636)		(138357)
<i>საბალანსო ღირებულება</i>				
2019 წლის 31 დეკემბერი	56,471	2,061		58532
2020 წლის 31 დეკემბერი	45082	1649		46731

5. არამატერიალური აქტივები

ქართული ლარი	უფლებები	კომპიუტერული პროგრამები	სხვა	სულ
თვითღირებულება				
2019 წლის 1 იანვარი	381	4,256	0	4,637
შემოსვლა				
2019 წლის 31 დეკემბერი				
შემოსვლა				
2020 წლის 31 დეკემბერი				
დაგროვილი ამორტიზაცია				
2019 წლის 1 იანვარი	(329)	(2654)	0	(2,983)
წლის ამორტიზაცია	(8)	(240)		(248)
2019 წლის 31 დეკემბერი	(337)	(2894)		(3,231)
წლის ამორტიზაცია	(7)	(204)		(211)
2020 წლის 31 დეკემბერი	(344)	(3098)		(3442)
საბალანსო ღირებულება				
2019 წლის 31 დეკემბერი	44	1,362		1,406
2020 წლის 31 დეკემბერი	37	1158		1195

6. გადახდილი ავანსები

ქართული ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
თანამშრომლებზე გადახდილი ავანსები (ანგარიშვალდებული პირები)	0	0
მომწოდებლებისათვის გადახდილი ავანსები	7,756	8,787
	<u>7,756</u>	<u>8,787</u>

კომპანიის მიერ გადახდილი ავანსების ძირითად ნაწილს იჯარის წარმოადგენს იჯარის ხელშეკრულებით განსაზღვრული, წინასწარ გადახდილი გადასახადი.

7. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ქართული ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო მოთხოვნები (კონტრაქტებით: ეროვნულ ვალუტაში)	139,703	204,068
სავაჭრო მოთხოვნები (კონტრაქტებით: უცხოურ ვალუტაში)	352,919	451,984
სხვა მოთხოვნები	59,091	25,741
	<u>551,713</u>	<u>681,793</u>

ყველა თანხა არის მოკლევადიანი.

სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულება დაფარვის მოკლე ვადიდან გამომდინარე შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას. მოთხოვნების დაფარვის ვადა შეადგენს 5-30 დღეს.

სავაჭრო მოთხოვნებზე არ ხდება პროცენტის დარიცხვა.

კომპანიის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები შესადარის პერიოდებში შეფასებულ იქნა გაუფასურებაზე. კომპანიის ხელმძღვანელობას არ შეუქმნია ანარიცხი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის, ვინაიდან არ ყოფილა გაუფასურების მაჩვენებელი, ან რაიმე სხვა გარემოება რაც ეჭვს გამოიწვევდა სავაჭრო და სხვა მოთხოვნების დაბრუნებასთან დაკავშირებით.

კომპანიის მიერ, საოპერაციო საქმიანობაზე სავალუტო კურსის მერყეობით გამოწვეული რისკი დაფარულია სავაჭრო მოთხოვნების დიდი ნაწილის უცხოურ ვალუტაში გაფორმებული ხელშეკრულებებით.

8. ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე

ქართული ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	240,174	40,516
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	81,394	335,737
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	0	0
	<u>321,568</u>	<u>407,682</u>

ფულის და ფულის ეკვივალენტების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას.

ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც არასარიცხო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

9. მარაგები

ქართული ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
გასაყიდად განკუთვნილი საქონელი	517,562	517,562
მარკეტინგული მასალა	1,270	1,270
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	938	938
	<u>732,957</u>	<u>519,770</u>

კომპანიის მიერ გასაყიდად განკუთვნილი სასაქონლო მატერიალურ მარაგების

საბალანსო ღირებულება მოცავს პროგრამული უზრუნველყოფის მატარებლისა (ელექტრო-მაგნიტური დისკები) და მასზე დატანილი პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენების უფლების (ლიცენზიების) ღირებულებას.

10. კაპიტალი

კომპანიას საწესდებო კაპიტალში შენატანი არ განუხორციელებია. საანგარიშგებო პერიოდებში დივიდენდის გაცემა არ დაფიქსირებულა.

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ქართული ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულებები	1,368,622	1,281,667
მიღებული ავანსები		22,535
საგადასახადო ვალდებულება	105,847	113,711
სხვა ვალდებულება	6,361	978
	<u>1,480,830</u>	<u>1,417,891</u>

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლე ვადის გამო.

სავაჭრო ვალდებულებების საბალანსო ღირებულების არსებით ნაწილს წარმოადგებს, უცხოელ მომწოდებლებთან აშშ დოლარში აღრიცხული ვალდებულება, რომელიც გადაფასებულია სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს არსებული ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლით კურსით.

12. ამონაგები

ქართული ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ადგილობრივი გაყიდვები	6,040,007	6,861,823
ექსპორტით გაყიდვები	19,343	65,388
მომწოდებლებისგან მიღებული ბონუსები	144,002	159,060
სხვა შემოსავალი	20,100	0
	<u>6,223,452</u>	<u>7,086,271</u>

ამონაგები წარმოადგენს კომპანიის შემოსავალს, პროგრამული უზრუნველყოფისა და ტექნიკური მხარდარდაჭერის უფლებების გადაცემის მომსახურების რეალიზაციიდან.

13. რეალიზაციის თვითღირებულება

ქართული ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ადგილობრივი გაყიდვები	-5,478,182	-5,991,077
ექსპორტით გაყიდვები	-19,402	-55,143
	<u>5,497,584</u>	<u>-6,046,220</u>

14. ადმინისტრაციული ხარჯები

ქართული ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
თანამშრომელთა ხელფასის დანახარჯები	357,037	383,729
თანამშრომელთა ხელფასის დანამატის დანახარჯები	91,133	113,497
საპენსიო ანარიცხები	5,026	
ოფისის იჯარა	53,495	50,105
კომუნალური დანახარჯები	2,135	4,745
კომუნიკაციის დანახარჯები	5,125	12,400
კონსულტაცია და პროფესიული მომსახურება	0	18,297
საოფისე დანახარჯები	11,629	3,982
საკანცელარიო დანახარჯები	410	1,275
მარკეტინგის ხარჯი	29,638	123,728
	<u>555,628</u>	<u>711,758</u>

15. სხვა ხარჯები

ქართული ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ცვეთა და ამორტიზაცია	11,893	10,155
გადასახადები, საშემოსავლო გადასახადის გარდა	533	433
მივლინების დანახარჯები	1,110	27,063
წარმომადგენლობითი დანახარჯები	1,161	5,159
საწვავი და სხვა სატრანსპორტო დანახარჯები	1,512	2,597
ბანკის და სხვა საკომისიოები	33,924	12,228
სხვა საოპერაციო დანახარჯები	0	0
	<u>50,133</u>	<u>57,635</u>

16. საპროცენტო შემოსავალი

ქართული ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე	16,785	16,465

17. ზარალი საკურსო სხვაობიდან

ქართული ლარი

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	10,580	6,389
სავაჭრო მოთხოვნები	16,946	6,067
სავაჭრო ვალდებულებები	(149,027)	(143,063)
	(121,501))	(130,606)

18. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას აწარმოებს სასამართლო დავას, რომელსაც არ გააჩნია არსებითი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნის რისკი. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება არსებითი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, მენეჯმენტის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. კომპანიას მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში. საგადასახო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში

20. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

საანგარიშგებო წლის განმავლობაში კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ქონდა შემდეგი ტრანზაქციები და ბალანსები:

დოლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ტრანზაქციები		
MONT LLC (ARMENIA)		
მომსახურების შეძენა	-	241597

21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2021 წლის 28 სექტემბერს

შპს მონტ (საქართველო, თბილისი)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართული ლარი	შენიშვნა	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	46,732	58,532
მშენებარე საინვესტიციო ქონება		0	0
არამატერიალური აქტივები	5	1,195	1,406
შეზღუდული ფულადი სახსრები		47,927	59,938
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	9	732,957	519,770
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	551,713	681,793
გადახდილი ავანსები	6	7756	8,787
გაცემული სესხები			
საგადასახადო აქტივები მოგების გადასახადის გარდა		0	0
შეზღუდული ფულადი სახსრები			
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	8	321,568	376,253
		1,613,994	1,586,601
სულ აქტივები		1,661,921	1,646,540
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი და რეზერვები			
საწესდებო კაპიტალი	10	200	200
აკუმულირებული მოგება		180,891	228,449
		181,091	228,649
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები		0	0
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		0	0
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		1,480,830	1,417,891
სესხები		0	0
		1,480,830	1,523,201
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		1,661,921	1,646,540

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია : 28 სექტემბერი 2021 წელი
თბილისი, საქართველო

ხელმომწერი პირი:
დირექტორი

თეა ჭიკაძე

18

შპს მონტ (საქართველო, თბილისი)

სრული შემოსავლის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართული ლარი	შენიშვნა	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
შემოსავალი რეალიზაციიდან	12	6,079,450	6,927,211
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	13	(5,497,584)	(6,046,220)
საერთო მოგება		581,866	880,991
სხვა შემოსავალი		144,002	159,060
დისტრიბუციისა და მარკეტინგის ხარჯები		(29,638)	(123,727)
ადმინისტრაციული ხარჯები	14	(525,990)	(588,030)
სხვა ხარჯები	15	(50,133)	(57,635)
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან		120,107	270,659
ფინანსური შემოსავალი	16	16,785	16,465
ფინანსური დანახარჯები		(62,949)	-5,159
კურსთაშორისი ზარალი	17	(121,501)	(130,607)
ზარალი მოგების გადასახადამდე			
მოგების გადასახადის ხარჯი		0	-3430
წლის მოგება/ზარალი		(47,558)	147,928

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია: 28 სექტემბერი 2021 წელი
თბილისი, საქართველო

ხელმომწერი პირი:

დირექტორი

თეა ჭიკაბე



შპს მონტ (საქართველო, თბილისი)

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართული ლარი	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება / ზარალი	სულ
2018 წლის 1 იანვარი	200	175,868	176,068
წლის ზარალი	-	(95,347)	(95,347)
საწესდებო კაპიტალის შევსება		-	
	200	80,521	80,721
2019 წლის 31 დეკემბერი			
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		147,928	148,302
საწესდებო კაპიტალის შევსება			
	200	228,449	228,649
2019 წლის 31 დეკემბერი			
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	-47,558	-47,558
საწესდებო კაპიტალის შევსება	-	-	-
2020 წლის 31 დეკემბერი	200	180,891	181,091

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია: 28 სექტემბერი 2021 წელი
თბილისი, საქართველო

ხელმოწერი პირი:

დირექტორი

თეა ჭიკაძე



შპს მონტ (საქართველო, თბილისი)

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართული ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მყიდველებიდან მიღებული ფულადი სახსრები	7,282,154	8,429,773
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(5,768,799)	(6,668,823)
გადახდილი ხელფასები	(351,923)	(414,834)
ოფისის ქირა და კომუნალური ხარჯები	(42,629)	(46,409)
გადახდილი გადასახადები	(1,199,303)	(1,280,979)
სხვა გადასახადები		(37,994)
	(80,500)	(19,266)
<i>წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან</i>		
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შეძენა	(51)	(35,017)
გაცემული სესხებიდან მიღებული თანხა		
გაცემული სესხები		
<i>წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან</i>	(51)	(35,017)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	14,286	16,465
საწესდებო კაპიტალის შევსება		
საბანკო გარანტიები		
მიღებული სესხები		
სესხების დაფარვა		
გადახდილი პროცენტი		
<i>წმინდა ფული საფინანსო საქმიანობიდან</i>	14,286	16,465
წმინდა ზრდა / კლება ნაღდი ფულის და საბანკო ანგარიშების	(66,265)	(37,818)
საკურსო სხვაობის გავლენა ფულზე	11,580	6,389
ფული საბანკო ანგარიშებზე და ხელზე პერიოდის დასაწყისში	376,253	407,682
ფული საბანკო ანგარიშებზე და ხელზე პერიოდის ბოლოს	321,568	376,253

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია: 28 სექტემბერი 2021 წელი
თბილისი, საქართველო

ხელმომწერი პირი:

დირექტორი

თეა ჭიკაძე